ლიმფავენი
Lymphaveine

საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება): comb. Drug
კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

გაცემის რეჟიმი: III ჯგუფი (ურეცეპტოდ)

შემადგენლობა:

2 ტაბლეტის შემადგენლობა		RI*
ციტრუსის ბიოფლავონოიდები(ექსტრაქტი შეესაბამება 35% ფლავონოიდებს)	600მგ	
გალიუმის აპარინის ექსტრაქტი	200მგ	
ყურძნის წიპწის ოლიგო-პროანთოციანიდები(OPCs)	75მგ	
გინკგოს ექსტრაქტი(გინკგო ბილობა)	50მგ	
რუტინი	50მგ	
ქუერცეტინი	50მგ	
ბრომელაინი(1200GDU/გ)	20,8მგ	
მდოგვის ექსტრაქტი(Raphanus sativus)	50მგ	
ძმერხლის ექსტრაქტი(Ruscus aculeatus) რუსკოგენინი	30მგ 3მგ	
სელენი	40მგ	72%
ბაბუაწვერას ექსტრაქტი(Taraxacum officinalis)	20მგ	
მაგნიუმი	112,5მგ	30%
კალიუმი	80მგ	4%
ვიტამინი C	80მგ	100%
ვიტამინი B6	1,4მგ	100%
ვიტამინი E	12მგ	100%

მოქმედების მექანიზმები:

ლიმფური ცირკულაცია
ლიმფური ცირკულაციის გაუმჯობესებას ხელს უწყობს პრეპარატში შემავალი შემდეგი აქტიური კომპონენტები: გალიუმის აპარინი, ბრომელაინი, ბაბუაწვერას ექსტარქტი, ციტრუსის ბიოფლავონოიდები, Mg, K, B6. ისინი ასტიმულირებენ ლიმფურ დრენაჟს, ხელს უწყობენ დამატებითი კოლატერალების გახსნას, უზრუნველყოფენ ორგანიზმის დეზინტოქსიკაციას და აქვთ სუსტად გამოხატული დიურეზული მოქმედება

ვენური ცირკულაცია
ვენური ცირკულაციის გაუმჯობესებას განაპირობებს ყურძნის წიპწის ოლიგო-პროანთოციანიდი, გინკგო ბილობა, რუტინი, ქუერცეტინი, რუსკოგენინი, ციტრუსის ბიოფლავონოიდები. ისინი ზრდიან როგორც ვენურ ცირკულაციას, ასევე ვენის კედლების და სარქველების ელასტიურობას და ხელს უწყობენ ვენური ნაკადის სწორ დინებას.

ანტიაგრეგაციული მოქმედება
ანტიაგრეგაციული მოქმედება ვლინდება რუტინის, ბრომელაინის, გინკგო ბილობას და ვიტამინები- C და E-ს ჩართულობით. ისინი აინჰიბირებენ თრომბოციტების ადჰეზიას, ახანგრძლივებენ პროთრომბინის დროს და ააქტიურებენ პარციალური თრომბოპლასტინის დროს.

ჩვენებები:
ვენური უკმარისობა/შეშუპება
ვარიკოზული დაავადებები
თრომბოფლებიტი
ლიმფოსტაზი, ლიმფორეა, ლიმფადემა, ლიმფანგიტი
კონსტიტუციური ტიპის შეშუპება
მცირე მენჯის ღრუს სტაზი(ოვარიოვარიკოცელე)
სათესლე ჯირკვლების ვარიკოცელე
პრემენსტრუალური სინდრომი
ჰემოროიდული დაავადება
პერიფერიული და ცენტრალური მიკროცირკულაციის გაუმჯობესება

უკუჩვენება:
მომატებული მგრძნობელობა/ალერგია მასში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ, 14 წლამდე ასაკი, სისხლდენები

განსაკუთრებული მითითებები:
თუ ლიმფავენის პარალელურად ღებულობთ რომელიმე ანტიკოაგულანტს და ჰიპოტენზიურ საშუალებას, პრეპარატის მიღების წინ დაეკითხეთ მკურნალ ექიმს

დოზირება და მკურნალობის ხანგრძლივობა:
მიიღება 2 აბი ერთდროულად დღის პირველ ნახევარში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 30-60 დღე

გამოშვების ფორმა:
მუყაოს ყუთი N4 ბლისტერი, ბლისტერზე N15 ტაბლეტი

მწარმოებელი: Laboratoire Les 3 Chenes
ZA la Terre Ronde, Chem. de la Terre Ronde, 69770 Villechenève/საფრანგეთი